05/01/2023

# იერუსალიმის პატრიარქ თეოფილე III-ის 90 წლისთავის საიუბილეო მილოცვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს




უნეტარესო, მცხეთისა და თბილისის მთავარეპისკოპოსო და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო, ჩვენი უმდაბლესობის, ქრისტე ღმერთში ფრიად საყვარელო ძმაო და თანამწირველო, უფალო ილია, თქვენს სასურველ უნეტრესობას, უფლისმიერი ძმობით ვეხვევით და განსაკუთრებული სიხარულით ვესალმებით.

ამ ჩვენი საპატრიარქო და ძმური წერილით, თქვენის ფრიად საყვარელი და სასურველი უნეტარესობისადმი გამოვთქვამთ მხურვალე მილოცვებს, დაბადების 90 და სრულიად საქართველოს კათოლიკო-პატრიარქის საყდარზე თქვენი აღსაყდრების 45 წლისთავთან დაკავშირებით.

ვლოცულობთ, ყოვლადწმიდა და ცხოველსმყოფელი საფლავის წინაშე, რათა მისგან, მადლთა მბოძებელმა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, მოგანიჭოთ უხვად მისი მადლი, რათა გააგრძელოთ თქვენი საპატრიარქო მწყემსმთავრული მსახურება, ღვთივსათნო და ქველი საქმეების გამდიდრებით, ქრისტესმოყვარე თქვენი ერის სასიკეთოდ და “საკრველითა მით მშვიდობისაჲთა(ეფეს 4.3) ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიების ერთობის დასაცავად“, რათა საუკუნოდ იგალობებოდეს და იდიდებოდეს “ყოვლად პატიოსანი და დიდადშვენიერი სახელი მისი, მამისა და ძისა და სულისა წმინდისა“.
გემთხვევით წმინდა ამბორით ყოვლადსაკრძალი და ღვთისშემწყნარებელი ქვაბულიდან(ბეთლემის).

თქვენი სანატრლი უნეტარესობის

ქრისტეში საყვარელი ძმა
თეოფილე III
იერუსალიმის პატრიარქი

წმინდა ქალაქი იერუსალიმი, 2022წ.
21 დეკემბერი(ახ. სტ. 3 იანვარი)

Ἀριθμ. Πρωτ.
**787**

Μακαριώτατε Ἀρχιεπίσκοπε Μιτσχέτης καί Τυφλίδος καί Καθολικέ Πατριάρχα πάσης Γεωργίας, ἐν Χριστῷ τῷ Θεῷ, λίαν ἀγαπητέ ἀδελφέ καί συλλειτουργέ τῆς Ἡμῶν Μετριότητος **Κύριε Ἠλία**. Τήν Ὑμετέραν περισπούδαστον Ἡμῖν Μακαριότητα ἀδελφικῶς ἐν Κυρίῳ περιπτυσσόμενοι, ὑπερήδιστα προσαγορεύομεν.

Διά τῶν Πατριαρχικῶν καί ἀδελφικῶν Ἡμῶν Γραμμάτων τούτων ἐκφράζομεν τῇ Ὑμετέρᾳ λίαν ἀγαπητῇ καί περισπουδάστῳ Ἡμῖν Μακαριότητι ἐνθέρμους προσρήσεις ἐπί τῇ 90ῇ ἐπετείῳ τῶν Γενεθλίων Αὐτῆς καί τῇ 45ῃ ἀπό τῆς Ἐνθρονίσεως Αὐτῆς εἰς τόν Πρωθιεραρχικόν Θῶκον τοῦ Καθολικοῦ Πατριάρχου Γεωργίας.

Προσευχόμεθα ἐνώπιον τοῦ Παναγίου καί Ζωοδόχου Τάφου, ὅπως ὁ Δωρεοδότης Κύριος ἡμῶν Ἰησοῦς Χριστός παρέχῃ δαψιλῆ τήν Χάριν Αὐτοῦ ἐπ᾽ Αὐτήν πρός συνέχισιν καί ἐμπλουτισμόν τῶν Θεαρέστων καί εὐεργετικῶν ἔργων τῆς Πατριαρχικῆς Ποιμαντικῆς Αὐτῆς διακονίας, ἐπ᾽ ἀγαθῷ τοῦ φιλοχρίστου Αὐτῆς Ἔθνους καί ὑπέρ διατηρήσεως τῆς ἑνότητος τῆς Ὀρθοδόξου ἡμῶν Ἐκκλησίας «*ἐν τῷ συνδέσμῳ τῆς εἰρήνης*» (Ἐφ. 4,3), ἵνα ὑμνῆται καί δοξάζηται «*τό πάντιμον καί μεγαλοπρεπές ὄνομα τοῦ Πατρός καί τοῦ Υἱοῦ καί τοῦ Ἁγίου Πνεύματος εἰς τούς αἰῶνας*».

Ἐφ᾽ οἷς, ἀσπαζόμενοι Αὐτήν ἀπό τοῦ Πανσέπτου καί Θεοδέγμονος Σπηλαίου φιλήματι ἁγίῳ, διατελοῦμεν.

Ἐν τῇ Ἁγίᾳ Πόλει Ἱερουσαλήμ ͵βκβ΄ Δεκεμβρίου κα΄.

Τῆς Ὑμετέρας πεφιλημένης Μακαριότητος
Ἀγαπητός ἐν Χριστῷ ἀδελφός,

† ὁ Ἱεροσολύμων Θεόφιλος

**ΘΕΟΦΙΛΟΣ Γ΄**
Πατριάρχης Ἱεροσολύμων

patriarchate.ge